

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

2019 წლის — მარტი

ქალაქი ბათუმი

**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N**

ქ. ბათუმში, 26 მაისის ქ. N12–ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე ილია (ემელიანე) ჟღენტის მემორიალური დაფის განთავსების შესახებ

„კულტურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე–19 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების), ობელისკის, მემორიალური დაფისა და სხვა მემორიალური ობიექტის განთავსების წესის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქი ბათუმის საკრებულოს 2007 წლის 26 აპრილის №5–7 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე–7 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ  
გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. ილია (ემელიანე) ჟღენტის ხსოვნის უკვდავსაყოფად ქ. ბათუმში, 26 მაისის ქ. N12–ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე განთავსდეს მემორიალური დაფა.
2. ცნობად იქნეს მიღებული, რომ მემორიალური დაფის გამზადების და განთავსების ხარჯებს გაიღებს ოჯახი.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

სულიკო თებიძე